



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება № 626

ქ. თბილისი, 2008 წ. 15 07

შპს „ცხუმ-გერისისთვის“ სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2008 წლის 11 ივლისს შემოვიდა შპს „ცხუმ-გერისის“ №2 (№07/6361) კორესპონდენცია სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მიღების მოთხოვნით. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, მე-2 ნაწილზე, 115-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, 117-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შპს „ცხუმ-გერისისთვის“ სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვროს 2008 წლის 11 ივლისი;
2. ბრძანების, კანონით დადგენილი წესით დაინტერესებული პირისთვის გაცნობა და საჯარო გაცნობისთვის წარდგენა დაევალოს ლიცენზირების სამსახურს;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს მთავრობაში, მისამართზე - ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7 ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე - ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1^ა.

მ ი ნ ი ს ტ რ ი

Handwritten signature



გიორგი ნოდია